პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 239
(7550)

15 დეკემბერი, ხუთშაბათი.
1983 წ.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ შინაოსპორტის საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურის და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

საქართველოს სსრ შეკრების საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესია 1984 წლის 7 თებერვალს ქ. თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ჯ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 13 დეკემბერი.

მასპინძელთა იმედები

SARAJEVO 84

ზამთრის ზ ზონაში მსოფლიოს უძლიერეს სამთო მთხილამურეებთა ომედები ოეგოსლავიის თეთრ ბილაკებს უკავშირდება. ა.ქ. სლოვენიის ჩრნსწყაროს ფერდობებზე 1 დეკემბერს ტრატები აიღო მსოფლიო თასის გათამაშების ტურნირმა, თუმცა მთავარი ასპარეზობად უნდა მივიჩნიოთ ზამთრის XIV ოლიმპიური თამაშები, რომლისთვისაც კარგა ხანია ემზადება სარაევო.

აქაურ მწერებთან, სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე გიდებთან, ავტობუსების მოფრინებთან, ტურისტული ფირმებისა და ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ოფიციალურ წარმომადგენლებთან ერთად, რომელთაც კარგა ხანია ემზადება სარაევო, ოლიმპიადამდე ორი თვით ადრე დაფრინდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ათეულობით ჟურნალისტი, რომელთა ნაწილი ოლიმპიადამდე მათ მიწაზე უნაყოფოდ ჩაიარის და ცდილობენ ყოველგვარი პრობლემა ახლავე გადაჭრან, ეულებელდაყრეფილნი არც მასპინძელი სპორტსმენები არან, რომლებსაც, რა თქმა უნდა, სურთ თავი ისახელონ გულშემატკივართა წინაშე. ისინი მთელი მონდომებითაა და თავდაუზოგავად ემზადებიან მომავალი სპასუხისმგებლო ტურნირისათვის.

სპეციალისტთა აზრით იუგოსლავიის ხაკრების წევრთაგან მედლების მოპოვების ყველაზე მეტი შანსი სამთომთხილამურეებს აქვთ. ეს აღინიშნა ამ დღეებში სლოვენიის რესპუბლიკის დედაქალაქ ლუბლიანაში გამართულ პრესკონფერენციაზე. ამ ქვეყნის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ტ. ვოვრინეცმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სპეცსლალომში ოქროს მედლისათვის იბრძოლებს და შეუძლია კიდეც მოიპოვოს ეს მაღალი ჯილდო ბოიან კრიტაის, გიგანტ სლალომში ბოროს სტრელსა და ჯუზე ფრანკის. მანვე განაცხადა: — „ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რათა კრიტაი, სტრელი და ფრანკო უძლიერესთა შორის უძლიერესნი იყვნენ. კარგად გვესმის ისიც, რომ დღეს მსოფლიოში სამ ათეულზე მეტი შესანიშნავი სამთომთხილამურეა, მედლები კი მხოლოდ სამია".

შარშან კრიტაი ავსტრიის ქალაქ შლადმინგში გამართულ მსოფლიო თასის ერთ-ერთ ეტაპზე მეორე იყო სლალომში და ოღონც ჩამორჩა თვით ლეგენდარულ სტენმარკს. ამას წინათ კი მსუბუქ ასპარეზობაში, რომელიც იტალიის ქალაქ ბორმიოში ჩატარდა, მან თავისი შარშანდელი წარმატება გაიმეორა და მხოლოდ ავსტრიელი ჰაიდეგერი „გაუშვა" წინ.

იმავ შლადმინგში მისი მეგობარი სტრელი ბრინჯას პრიზიორი გახდა გიგანტ-სლალომში. იგი შარშანდელთან შედარებით უკეთეს სპორტულ ფორმაში იმყოფება, არც ტრავმები აწუხებს იმდენად. ამიტომაც სტრელი ოპტიმისტური განწყობილებით და სრულ სპბრძოლო მზადყოფნაში ხედება ოლიმპიადას. იმედებს არც ფრანკო კარგას, რომელიც სხვა უძლიერეს სამთომთხილამურეებთან — ბორესთან, ცურბრიგენთან, ლეუშერთან, ჟიულანთან, ჟირადელთან, მიულერთან და ენენცელთან ერთად, ოქროს მედლისთვის ბრძოლაში მედგარ წინააღმდეგობას გაუწევს ბორის სტრელს.

ცნობით, რომ დამთავრდება ეს დიდი სათხილამურო ბატალები, რომლის დაწყებამდე ორიოდე თვეღა დარჩა.



მსოფლიო კირჩელობის პრეზიდენტთა ნახევარფინალური მატჩები

გუშინ...

დუბნაში გაიმართა ნ. ალექსანდრია — ი. ლევიტანის მატჩის დასკვნითი, XIV პარტია, რომელშიც თეთრებით ჭარიველი დიდოსტატი თამაშობდა.

ზუთსათიანი ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა ლევიტანმა. მატჩიც მის სახელგებლოდ დამთავრდა ანგარიშით 7,5:6,5.

ამრიგად, ი. ლევიტანმა გაიგზავნა პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში, სადაც კიეველ დიდოსტატს ლიდა სემონოვას შეხვდება. მათი ორთაბრძოლა 1984 წლის გაზაფხულზე გაიმართება.

ლონდონის მატჩებზე

დაბაბულ ბრძოლაში მიმდინარეობს პრატენდენტ ვაჟთა ნახევარფინალური მატჩები ლონდონის სასტუმრო „გრეინ ისტერნში".

გუშინ შედგა გ. კასპაროვ-ვ. კორჩნოის მატჩის მეათე პარტია. თეთრებით კორჩნოი თამაშობდა. ჯერჯერობით შეხვედრის ანგარიშია 5,5:3,5 კასპაროვის სასარგებლოდ, რომელშაც ბოლო სამ შეხვედრაში 2,5 ქულა მოაგროვა.

დღეს გაანალიზება თამაში ვ. სმისლოვ — ზ. რიბლის მატჩში. მეტოქენი მეათე პარტიას გათამაშებენ. თეთრ ფიგურებს რიბლი გაუძღვება. ეს პარტია 13 დეკემბერს უნდა შემდგარიყო, მაგრამ გადატანილ იქნა, ვინაიდან სმისლოვმა ტატომატის აღების უფლებით ისარგებლა. ამ მატჩში წინაა საბჭოთა დიდოსტატი — 5,5:3,5.

შეგახსენებთ, რომ ორივე მატჩში 12-12 პარტია უნდა გათამაშდეს.

● ბაღრაკი

დიდოსტატთა შეხვედრები

ტალინში, სსრ კავშირის ვაჟთა I ლიგის 51-ე ჩემპიონატის VIII ტურის შეხვედრები ჩატარდა.

დიდი ინტერესი გამოიწვია დიდოსტატთა „დუელებმა". ი. ბალშოვი დამარცხდა ბ. გულკოსთან, ი. დორფმანმა კი ს. მაკარიჩევთან პარტია ზედაპირი პაიკით გადადო. სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონმა, დიდოსტატმა ლ. ფსახისმა დაამარცხა ვ. გავრიკოვი.

ე. უბილავამა და ოსტატ ი. პოლუგოდინის შეხვედრა ყაიმით ალინიშნა.

8 ტურის შემდეგ ლიდერობენ ბ. გულკო (შოსკოვი)—5 ქულა, ი. დორფმანი (ლვოვი) და ოსტატი პ. კორზუბოვი (პინსკი) — 4,5-4,5 (1-1). ე. უბილავას 3,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

რეკორდი დამტკიცდა

საქართველოს სპორტკომიტეტმა მიიღო ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ ვლადისპორტის საერთაშორისო კავშირმა დაამტკიცა ქართველი მრბოლის ო. შველიანის მსოფლიო რეკორდი 500 მეტრზე გიტში სულით — 27,836 წამი, რომელიც მან ამას წინათ მოსკოვის კრილატსკოეს ტრეკზე დაამყარა.

შენი ჯანმრთელობა შენს ხელთაა!

სარბენ ბილიკებზეა... „კუ"

„უკანასკნელა, ყველაზე შორს, ყველაზე დიდხანს" — ასეთია თბილისის რბენის მოყვარულთა კლუბის „კუს" დევიზი. კლუბმა, რომელიც 12 წლის წინათ შეიქმნა, შემოიკრიბა მრავალი თბილისელი, ისინი, ვინც ამჯობედ ყოველგვარი სისტემისა და სამედიცინო კონტროლის გარეშე, დამოუკიდებლად ვარჯიშობდნენ.

კლუბის ახლანდელმა ხელმძღვანელობამ ყოფილმა მძლეოსანმა ჯ. ზუბუამ და ამიერკავკასიის რეკორდსმენმა სპორტის ოსტატმა შ. თავდიშვილმა შეიმუშავეს ვარჯიშების სისტემა და რბენის მოყვარულების მეურვეობა იკისრეს.

ახლახან კლუბის წევრებმა განახორციელეს 500-კილომეტრიანი მრავალდღიანი გადარბენი, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს მიუძღვნეს. რბენის მრავალი მოყვარული გაზეთ „ვრაჟდას" პრობზე გამართული ეროსის მონაწილეა.

• • •

სურათზე: „კუს" წევრები დისტანციაზე;

ხაჭინფორმის ფოტო.

ფალავნები გორკის ქუჩიდან

საცსოვრებელ ადგილებში არსებულ ბავშვთა სპორტულ კლუბებს შორის თბილისის საჭალოში სპორტკომპლექსი საუკეთესოდ აღიარა ნორჩ ფალავანთა კლუბი, რომელიც ცნობილი მოჭიდავის შ. მორჩილაძის სახელს ატარებს.

აი, უკვე მეხუთე წელია ყოველ საღამოს ინთება სინათლე გორკის ქუჩაზე მდებარე მუყთრო კლუბში. ძნელი საქმეა ქალაქ თბილისური სამსართლიანი სახლის მიტოვებული სარდაფი. თოჯმის მთელი მიკრონაინის ბაგეშებმა, სპინაო-საექსპლოატაციო კანტორის მუშაკთა დახმარებით ძველებური სახე დაუბრუნეს ამ ნაგებობას. ბავშვებიც, მინეს რომ გვიხსნეს, ენთუზიასტთა რიგებში ჩავიყენეთ. როდესაც კლუბი გაიხსნა, მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

დღეს შ. მორჩილაძის სახელობის კლუბში 150 ბავშვია გაერთიანებული. მათთან უფროსებივე ვარჯიშობენ. კლუბი ამაყობს კოსმონავტის, კომპოზიტორ ვ. გალდანაძეების, ეკიპაჟის ინჟინერ-ოპერატორის ნ. ბაგრატიონის სახელებით, რომლებიც არაერთხელ გამოჰყვნიან რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

(ხაჭინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის სეროთერაპიის ბაზაზე დამთავრდა სამედიცინო და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის პროფესორა-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ერთთვიანი თემატური ციკლი „სპორტული მედიცინისა და სამკურნალო ფიზკულტურის აქტუალური საკითხები". ასეთი ღონისძიება პირველად ჩატარდა ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენ ვესაუბრეთ ციკლის პროფესორ მასწავლებლებსა და მსმენელებს.

— ამჟამად, როცა დასასრულს უახლოვდება საბჭოთა სპორტსმენების მზადება 1984 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის, ყურადღების ცენტრში მოექცა სპორტსმენთა უზარველყოფის საკითხება. ამ მიმართულებით ასპექტები, — გვითხრა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის კათედრის გამგემ, ფიზიკურ-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა დ. ზვიად ჯავახიშვილმა. — ადამიანთა ჯანმრთელობის განმტკიცება და შრომის უნარიანობის ამაღლება, ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ამოცანაა. უკვე დიდი ხანია შეშფოთებულ იქცა, რომ ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და სხვადასხვა დაავადებების მკურნალობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამკურნალო ფიზკულტურა, რომელიც უფრო სრულად ასახავს მედიცინის პროფილატიკურ დანიშნულებას. ამ და სხვა საკითხების განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის, ლენინგრადიდან, ყაზანის, აქტიუბინსკის, ტომსკის, კიუნსაის, ვორონეჟიდან, ტარტუს, ზაპორიჟიის, ანდიჯანისა და თბილისის სამედიცინო და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტების სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის კათედრების.

ა. ალიოშინი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (აქტიუბინსკი): — ამ ციკლის ჩასატარებლად შემთხვევით არ ყოფილა შერჩეული თბილისის ექიმთა დახელოვნების სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის კათედრა, რომელიც სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო კერად ჩვენს ქვეყანაში. აქ დამკვიდრებულია თანამედროვე სწავლების საუკეთესო მეთოდები. როგორც აქ შევიტყვე, უკვე მე-13 წელია სწავლება პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს. მე, ისევე როგორც ბევრი ჩემი კოლეგა, შევეცდები ჩვენს კათედრებზე დაწერილი სწავლების ანალიზები შეთხზები.

ა. კობჭიხი, კიუნსის სამედიცინო ინსტიტუტის ასისტენტი: — ვშუშობ გულ-სისხლძარღვიან დაავადებულ ავადმყოფთა რეაბილიტაციის საკითხებზე. ჩემთვის მეტად საინტერესო იყო თბილისელი კოლეგების მიერ შემუშავებული და დანერგილი მეთოდი გულის იშემიური და ჰიპერტონული დაავადებების დროს სამკურნალო ტანვარჯიშით ფიზიკური დატვირთვების პროგრამირებისა და რეგულირების თაობაზე. სამკურნალო პროცედურებში ფიზიკური დატვირთვების რეგულირებისა და კონტროლის აქ არსებული ავტორული მეთოდი მეტად მნიშვნელოვანია რაბილიტაციის II ფაზის თერაპიული ტენარების ეტაპზე. ჩვენ თბილისში ბევრი ახალი და საინტერესო რამ შეისწავლეთ, თქვენს გამოცდილებას ჩვენს საქმიანობაში გამოვიყენებთ.

ა. ჯუჯაევი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი (ანდიჯანი): — ცხენზე ჯდომით მკურნალობის შესახებ ავიღეთ თბილისელებში შესახებ ინფორმაციის ავადმყოფობებში ჰაჭვს ამოკითხული. ჩემთვის სიახლეს წარმოადგენს ის, რომ საბჭოთა კავშირში პირველად თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის კათედრის ხელმძღვანელობით (კათედრის უფროსი ლაბორანტი მ. ლორია) რაიტენოგრაფიის ჯგუფი მკურნალს მიოკარდიის ინფარქტგადატანილ, სტენოკარდიითა და ჰიპერტონიით დაავადებულ ავადმყოფებს. როგორც ამ „სპორტული" ჯგუფების პაციენტებმა გვითხრეს, მათთვის ჯანმრთელობის ეს ლაბორატორია მეთოდი უფრო ეფექტური, ვიდრე სტაციონარული მკურნალობა.

ა. ივანოვა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, (ლენინგრადი): — მისასალმებელია სექციონ-პედაგოგიური კონტროლის ახალი ფორმები, რომელსაც თქვენთან ვაეცნენ თანამედროვე ტელეპიდისა და ცხენოსნობის ნაკრები გუნდების წვრთნისას (ასისტენტი **ვ.** რუხაძე). — იგი საშუალებას აძლევს ექიმს დროულად მისცეს სამირო რეკომენდაციები მწვრთნელს წვრთნის პროცესის კორექტირებისათვის. ორი სტუდიო თუ ვიტყვით, ეს არის გულის ფუნქციის უწყვეტი დღედამური დაკვირვების საექიმო-პედაგოგიური კონტროლის უახლესი მეთოდი, რომელშაც შეიძლება პრაქტიკული ფუნქციის მოგვცეს.

ე. მატკეევი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი (ვორონეჟი): — კარგად იყო გაანხებული ციკლის გეგმა. ჩვენთვის რესპუბლიკურ მეცადინეობებში მოეწყო საექიმო კონტროლის ორგანიზაციის საკითხებზე. საზოგადოება „ლინამოს" სასწავლო-საწვრთნელ ბაზაზე საუბარი გვქონდა სპორტული რეაბილიტაციის თაობაზე. მაგრამ არ შეიძლება განსაკუთრებული არ გამოვყო ბატონ ვ. ჭოლოყავას რესპუბლიკური რეაბილიტაციის ცენტრი (მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი თ. ჟორჟოლიანი) ჩვენ ვნახეთ ეკიპირებული უნიკალური დაწესებულება, სადაც თავმოყრილია არამედიკამენტური მკურნალობის თითქმის ყველა საშუალება: სამკურნალო ფიზკულტურა, მასაჟი, წყლის ბაზნები, სამკურნალო ტანვარჯიშით წყაობა, ჰიდრომასაჟი, ტალახით მკურნალობა, აეროთერაპია და სხვა.

ო. ამელინი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი (ტარტუ): ვეუროდები ჩემი კოლეგების აზრს. მინდა დავფიქრო, რომ ჩვენ საშუალება გვქონდა მონაწილეობა მიგვეღო თბილისის სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის ექიმთა სამეცნიერო საზოგადოების სხდომის მუშაობაში, რამაც კიდევ ერთხელ დაგვაჯერწმუნა ამ ორგანიზაციის აკადემიურობაში, მრავალმხრივობაში.

ა. ფურაევოია, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (მოსკოვი): — სასიამოვნოა ის ფაქტიც, რაც რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა გამოიჩინა მომდინარე თემატური ციკლისადმი. ჩვენ სანტერესო და საქმიანი საუბარი გვქონდა კომიტეტის ხელმძღვანელებთან. თქვა, რომ საქართველოში, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის წინაშე სერიოზული პრობლემები დგას. საჭირო განმტკიცდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაიზარდოს სპორტული მედიცინის ექიმებისა და სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდისტების რიცხვი. შეიქმნას რაბილიტაციის ახალი ცენტრები, დაიწვეს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, უფრო სანტერესოდ ჩატარეს მასობრივ-ფიზკულტურული ღონისძიებები, საქმიანი-ფიზკულტურის დისპანსერები უკეთ აღიქვეროს ფუნქციონალურ-სადიაგნოსტიკო და ბიოქიმიური აპარატები და სხვ. ამ საკითხების გადაწყვეტა შესაძლებელია ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზკულტურული ორგანიზაციების ერთობლივი მეცადინეობით. ამ ციკლის თბილისში ჩატარება გახანახრება თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის კათედრის სასწავლო მეთოდური და კლინიკური ბაზის მაღალ დონეზე, სადაც ფუნქციურ ურთიერთკავშირშია

ეზოს გუნდი-„დინამოს“ რეზერვში

დინამოელთა თეთრ-ცისფერი ფორმა ბიცეპს ეზოს გუნდის — „პატარა ვერელის“ ფეხბურთელებმა. ეს გამსაკუთრებული შემთხვევაა: კოლექტივი, რომელიც შექმნა და ხელმძღვანელობდა მეუაღრესი მწვრთნელი, მთლიანი შემადგენლობით ჩაირიცხა თბილისის „დინამოს“ ოლიმპიური რეზერვის სკოლაში.

„პატარა ვერელის“ პირველი მწვრთნელი იყო ჭალი — ბიზოლდა კეკელია, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. 15 წლის წინათ მან ორგანიზატორ-პედაგოგად დაიწყო მუშაობა კალინინის რაიონის № 61 საბინაო-საექსპლოატაციო კანტორაში. ვრის უბნის ბიჭები სპორტსა და, რა თქმა უნდა, ფეხბურთის თავგამოდებულ მოყვარულები არიან. საბინაო-საექსპლოატაციო კანტორამ ბავშვებს გამოუყო ბატარა შენობა დამბაძეის ქუჩაზე, სადაც მათ შეეძლოთ ჯიდაობის, შაშის, მაგიდის ჩოგბურთის სექციებში მეცადინეობა, მოგვიანებით კი მეზობლად მდებარე სკოლამ ნორჩ ფეხბურთელებს თავისი ეზო დაუთმო. ი. კეკელიას ჩვენმოუვიწყებლობით ვეროსანი ბიჭებმა გაიმარჯვეს სარაიონო ტურნირში „ტყავის ბურთის“ პრიზზე.

— ბავშვები დაიზარდნენ. ვფრძნობდი, რომ ჩემი სფეიბურთით ცოდნა უკვე აღარ იყო საკმარისი, —თქვა ი. კეკელიამ. — დავეთანხმე მეუღლე, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული, სპორტის ოსტატი ბიძინა-საექსპლოატაციო კანტორამ ბავშვებს გამოუყო ბატარა შენობა დამბაძეის ქუჩაზე, სადაც მათ შეეძლოთ ჯიდაობის, შაშის, მაგიდის ჩოგბურთის სექციებში მეცადინეობა, მოგვიანებით კი მეზობლად მდებარე სკოლამ ნორჩ ფეხბურთელებს თავისი ეზო დაუთმო. ი. კეკელიას ჩვენმოუვიწყებლობით ვეროსანი ბიჭებმა გაიმარჯვეს სარაიონო ტურნირში „ტყავის ბურთის“ პრიზზე.

— ბავშვები დაიზარდნენ. ვფრძნობდი, რომ ჩემი სფეიბურთით ცოდნა უკვე აღარ იყო საკმარისი, —თქვა ი. კეკელიამ. — დავეთანხმე მეუღლე, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული, სპორტის ოსტატი ბიძინა-საექსპლოატაციო კანტორამ ბავშვებს გუნდი.

ცნობა იმის შესახებ, რომ ყმაწვილებს ახალი მწვრთნელი ჰყავთ — ვლადიმერ კოპალიანი, სწრაფად მოედო უბანს. სექციაში ჩაწერის მსურველებმა იმატა, სავარო გახდა 3 გუნდის შექმნა. პირველს უწოდეს „პატარა ვერელი“, სამაგრო საფეხბურთო კლუბს კი მიენიჭა თბილისის „დინამოს“ ვეტერანის ბორის პაიჭაძის სახელი, რომელიც დღემდე მისი მთავარი კონსულტანტია. ვერელ ბიჭებზეს საავარჯიშოდ დაუთმეს „დინამოს“ სტადიონის სათადარიგო მინდორი.

თავისი არსებობის მანძილზე გუნდმა გაიმარჯვა მრავალ რესპუბლიკურ და საკავშირო ასპარეზობაში, კლუბის სპორტულ მუზეუმში ინახება დაახლოებით 30 სამაყარო პრიზი და რამდენიმე ათეული სიგელი, მათ შორის სსრ კავშირის სპორტკომიტეტის სიგელიც, რომელიც კლუბს გადაეცა როგორც ერთ-ერთ საუკეთესოს საბჭოთა ეზოებს შორის. ეს ასეთი სიგელი, მათ შორის სსრ კავშირის სპორტკომიტეტის სიგელიც, რომელიც კლუბს გადაეცა როგორც ერთ-ერთ საუკეთესოს საბჭოთა ეზოებს შორის. ეს ასეთი სიგელი, მათ შორის სსრ კავშირის სპორტკომიტეტის სიგელიც, რომელიც კლუბს გადაეცა როგორც ერთ-ერთ საუკეთესოს საბჭოთა ეზოებს შორის.

ეზოს გუნდის ისტორიაში ბევრი საინტერესო მატჩია. ერთ-ერთ მათგანში ეზოს გუნდმა ანგარიშით 5:0 დაამარცხა ქალაქ ბათუმის ფეხბურთელთა ასეთივე გუნდი. ეზოს გუნდის ფეხბურთელები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს ძლიერ ოპონენტებთან. ასე, მაგალითად, ეზოს გუნდის ფეხბურთელები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს ძლიერ ოპონენტებთან. ასე, მაგალითად, ეზოს გუნდის ფეხბურთელები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს ძლიერ ოპონენტებთან.

ეზოს გუნდის ფეხბურთელები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს ძლიერ ოპონენტებთან.

კალათბურთელთა რესპუბლიკური...

თბილისის კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის დარბაზში დამთავრდა საქართველოს 1983 წლის პირველობა ჰიბრიდსა და გოგონების შორის.

სამფაზიან ასაკის კალათბურთელთა გუნდების შეჯვრების უკანა ვიტყობენებოდით „ლელოს" ფურცლებზე. ამჯერად კი, მოგითხრობთ თუ ვინ იმარჯვა უფროსის (1966-1967 წ. წ.) და უმცროსის (1970-1971) ასაკის სპორტსმენთა შორის.

უფროსი ასაკის გოგონათა გუნდებში უძლიერესი გამდა თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა კალათბურთის სპეციალიზებული სკოლის (მწვრთნელი ო. ლებანიძე) გუნდი. II და III ადგილებზე შესაბამისად გავიდნენ თბილისის „ბორევესტნიკისა" და ქუთაისის კოლექტივები.

ბიჭებში იმპონირებს თბილისის „ნორჩი დინამოს" კალათბურთელებმა (მწვრთნელი ლ. ინწკირველი), II ადგილი წილად ხვდა თბილისის ოლიმპიური რეზერვის სკოლის აღსაზრდელებს, ხოლო მესამე — ქუთაისელ სპორტსმენებს.

უმცროსი ასაკის გოგონებში გამარჯვება ბედიამ თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის (მწვრთნელები გ. დარჩია და ო. ლებანიძე) გუნდმა, მეორე ადგილზე გავიდა სოხუმის, ხოლო მესამეზე ქუთაისის სპორტსმენები.

ჯაჭვებში ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: 1. თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის სკოლისა და კალინინის სახელობის რაიონის სპორტსკოლის ერთობლივი გუნდი „მართვე" (მწვრთნელები თ. ოქროპირიძე და რ. გელოვანი), 2. თბილისის „ნორჩი დინამო", 3. ქუთაისი.

აღსანიშნავია, რომ გამარჯვებელმა გუნდმა „მართვემ" ყველა შეხვედრა 45 და ზოგჯერ უფრო მეტი ქულის სხვაობით მოიგო: ქუთაისთან — 78:33, რუსთავთან — 75:32, სოხუმთან — 89:28, „ნორჩ დინამოელთან" — 91:42 და ბათუმთან 104:14. ამასთან, საყურადსაბოა, რომ უმცროსი ასაკის გუნდში 10 წუთით ნაკლებს თამაშობენ, ძალების ასეთი უთანასწორობა ნათლად მიტყობილის ჩვენი ბიძგთა კალათბურთის მდგომარეობის სიძლიერეზე, იმაზე, რომ ჭირიანი ჯარიდღება არ ეთმობა სპორტს ამ საყვარელ სახეობას.

გ. დოლენჯაშვილი.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: უმცროს ასაკში გამარჯვებული თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა კალათბურთის სპეციალიზებული სკოლის გოგონათა და ჯაბუკთა გუნდები.

ავტორის ფოტოები.

პირველი საერთაშორისო მაჯჭი

პირველი საერთაშორისო მატჩი რეგბიში შედგა 1871 წლის 28 მარტს, ინგლისისა და შოტლანდიის გუნდებს შორის, ედინბურგის აკადემიის სტადიონის რეგბორ პლატზეზე.

ეს მატჩი განაპირობა იმან, რომ რამდენიმე თვით ადრე, 1870 წლის 19 ნოემბერს, კენინგტონ ოვალში ჩატარდა ინგლისისა და შოტლანდიის ფეხბურთის გუნდების შეხვედრა, რომელიც ინგლისელთა დამარცვებით (1:0) დამთავრდა. წაგებამ აღაშფოთა შოტლანდიელები. იმ დროისათვის შოტლანდიაში ფეხბურთი როდი იყო პოპულარული, ამ თამაშს ერთეული ათეულწევრებითაც კი უყურებდნენ. ტაში კი ფართოდ იყო გავრცელებული იქაური კლუბებსა და უნივერსიტეტებში. შოტლანდიის რეგბის კლუბს წევრებმა გაზეთში გამოაქვეყნეს განცხადება: ისინი სათამაშოდ იწვევდნენ ნებისმიერ გუნდს. გამოწვევა მიიღო ინგლისის ერთ-ერთმა უძველესმა, 1858 წელს ჩამოყალიბებულმა გუნდმა „ბლეკჰიზმა". ტრტანთა მატჩს, როგორც მაშინ ეწოდებ ამ შეხვედრას, 4000 მაყურებელი დაესწრო.

ეს მატჩი მეტად უხერხემლოსით მოიგო შოტლანდიელთა გუნდმა, რომელიც შედგებოდა ძირითადად სამი კლუბის „ედინბურგ აკადემიკალის", „სამეფო სკოლის ყოფილ მოსწავლეთა" და „ედინბურგის ტრნივერსიტეტის" მოთამაშეთაგან. მომდევნო წელს ინგლისელებმა რევანში აიღეს. ასე ჩაეყარა საფუძველი ტრადიციას. იმ დროიდან მოყოლებული ინგლისისა და შოტლანდიის გუნდები ყოველ წელიწადს ხვდებიან ერთმანეთს მორაგებით ხან ინგლისსა და ხან შოტლანდიაში.

ეს მატჩები მალე გადაიქცა „კალუტის თასის" გათამაშებად. და აი, როგორ.

1873 წლის იანვარში ინდოეთის არმიის ინგლისელმა ოფიცრებმა, რომელთა უმრავლესობას ყოფილი რეგბისტები შეადგენდნენ, ჩამოაყალიბეს კლუბი „კალკუტა ფ. ს." იგი იერთიანებდა 137 წევრს. ოთხი წლის შემდეგ ოფიცერთა მეტი წილის სამშობლოში დაბრუნების გამო, გუნდი დაიშალა. იმ დროისათვის კლუბის სალაროში იყო ინდური ვერცხლის რუპიები, ინგლისის კურსით 60 ფუნტ სტერლინგს რომ შეადგენდა. კლუბის წევრებმა ერთსულოვნად მიიღეს მათი საზოგადოების მეიზის, ზაზისადარისა და გუნდის კაპიტნის, ჯეიმს რატნეის წინადადება, ჩამოესხათ თასი ამ რუპიებიდან და გადაეცათ ინგლისისა და შოტლანდიის გუნდებს შორის გამარჯვებულისათვის.

ამ თასს „კალუტის თასი" ეწოდება. იგი პირველად 1879 წელს გათამაშდა. დამკვიდრდა ასეთი ტრადიცია: ყოველ წელს თასზე ტიფრაულ გამარჯვებული გუნდის სახელწოდებას და ორივე გუნდის კაპიტნების სახელებს.

ფრანგულიდან თარგმნეს თსუ-ს გუნდის რეგბისტმა ბ. შუმბურიძემ და ხაკართველის რეგბის ფედერაციის პრომაგანდის ხელმძღვანელმა ე. გიორგაძემ.

რედაქტორის მოადგილი უ. ჯიბინაძე.



17 დეკემბერს

თბილისის ხორცის სასახლეში გაიმართება ხაკართველოს ახალგაზრდული პირველობა

ქართულ ჭიდაობაში

გათამაშდება სახელოვანი ქართველი ფალავნების — **ხანდრო კანდელაკის, დავით ხაზამბარელის, კუკა ლღვანელის, ნიკიტო ეხვთიას, იაკობ ეგნატაშვილის, კოტა მაისურაძის, ზაზი ვერძილის, არჩენ შეკოლაშვილის, ზაქარია ბაკურაძისა და ანზორ კაკაძის** სახელობის პრიზებში.

ისპარებებებენ კასპის, ქარელის, ახმეტის, თელავის, მცხეთის, გორის, თბილისის, ხაშურის, ხაგარეჯოს, რუსთავის უძლიერესი მოქიდავეები. სპარბიელზე გამოვლენ ბერათვე ვეტერანი ფალავნები.

დასაწყისი 17 საათზე.

ავტომოყვარულთათვის!

ავტოსამუხრუჭე სითხე — ძრავის სამწნელი გამოყენება მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების პიერავლეული აძრთვისა და გადამშეულობის სისტემაში (გარდა დისკოიანი მუხრუჭების სისტემისა) ზომიერი ჰავის პირობებში.

ხმარების წესი: მინუს 20 ვარაუდზე ნაკლებ ტემპერატურაზე შენახვისას კრისტალების გამოყოფის შემთხვევაში სითხე ჩასხმამდე 24 საათს გააჩერეთ ოთახის ტემპერატურაზე.

არ შეიძლება ამ სითხის შერევა სხვა მარკების სამუხრუჭე სითხეებთან.

იყავით ფრთხილად! სამუხრუჭე სითხე ცეცხლსაშიშია, ტოქსიკურია! ერთიეთ სითხის თვალში მოხვედრის!

საქართველოს სარეკლამო სააგენტო.

კინორეპა

● **პოკერი**

ოჰაიოს შტატის ქალაქ რიჩფილდში გაიმართა სსრ კავშირის მეორე ნაკრებისა და აშშ-ის ოლიმპიური გუნდის მესამე შეხვედრა. ანგარიშით 4:2 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

სსრ კავშირის ახალგაზრდა პოკეისტთა ნაკრები გუნდი მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებისას დაკავშირებით პრაღაში შეხვდა ჩეხოსლოვაკიელ თანატოლებს და გაიმარჯვა 6:5. ეს იყო დაგეგმილი ორი მატჩიდან პირველი.

● **კალათბურთი**

კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში სტემრად მიყოფებოდა ცსკაჰ ქალთა გუნდი, რომელმაც 4 ამხანაგური შეხვედრა გამართა ადგილობრივ გუნდებთან და ოთხივეში გაიმარჯვა.

● **ძალოსნობა**

ლენინგრადში დაიწყო ძალოსანთა შეჯიბრება სსრ კავშირის თასისა და ცალკეულ ვარჯიშებში ჩემპიონის ოქროს მედლების მოსაპოვებლად. ყველაზე მჭიდე წონით კატეგორიაში (52 კგ) გაიმარჯვა 33 წლის უკრაინელ მოსკოველმა ბ. პოლონსკიმ — 232,5 კგ. მეორე ადგილზე გავიდა ომსკელი ვ. ამბრახიმოვი—230 კგ, ხოლო მესამეზე —ვლადიკავკაზელი ა. კოლოკოლცევი —227,5 კგ. ატაცება ჩემპიონის ოქროს მედალი მიჩინა აბრაზხიმოვმა (102,5 კგ), ხოლო ყველაზე პოლონსკიმ (132,5 კგ).

● **შაში**

შეჯიბრების ეკვატორზე

ჰავდაკაში სასახლეში მიმდინარეობს თბილისის ვაჟთა ჩემპიონატი ასურჩან შაშში. პირველობას ერთმანეთს ეცილება 12 ოსტატობის კანდიდატი და 2 პირველთანრიგოსანი.

7 ტურის შემდეგ 5,5 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს ასპარეზობის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეი, ოსტატობის კანდიდატი გ. პოპოია. მას ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ოსტატობის კანდიდატები ა. სამადაშვილი და გ. ამირხანოვი.

I-III ადგილზე გასული მოშაშეები საქართველოს ჩემპიონატის საგზურებს მიიღებენ.

რ. ქერდიუოშვილი,
სპორტის ოსტატი.

20-მეტრიან კატამარან „შარანგა-მარიტიმეთ" 18-დღიანი რბოლის შემდეგ ატლანტის კონტინენტზე დაკარნი (ხენეგალი) პირველი მივიდა ფრანგ ათლეტებთა ეკიპაჟი ფილიპ ჰალის მეთაურობით. ეს მათი მეხუთე გამარჯვებაა ხოლო ხამი წლის მანძილზე.

ხაქფოტოს ფოტო.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380036, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო" ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56; ბაბობრივი ფიზკულტურული შეშობის — 93-97-55; სპორტის პრობაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამოშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია რის — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ხაქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ცხადება, 380036, თბილისი — 36, ლენინის ქ. № 14. ბეჭდვა ოფხეთური წესით ხაბეჭდო კომბინატში, ბოხარაული, 29. ИНДЕКС 66435

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22